მეთერთმეტე გამარჯვება
“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (კიევი)

თბილისისა და კიევის “დინამოს” თანაკლუბელებს შორის გათამაშების ცხრილში დიდი განსხვავებაა. თბილისელებს მტკიცედ უკავიათ მე–2 ადგილი, ხოლო კიეველები ასევე “მტკიცედ” იმყოფებიან მეცხრეზე. მიუხედავად ასეთი განსხვავებისა, სატურნირო ცხრილში მათი გუშინდელი შეხვედრა მეტად საინტერესო გამოდგა. პირველივე წუთებიდან ცხადი გახდა, რომ აუტსაიდერი მთელი შესაძლებლობით იბრძოლებდა სასურველი შედეგის მისაღწევად.

თამაში დაიწყო იმით, რომ კიეველები სახიფათოდ გაიჭრნენ მოწინააღმდეგის კართან და მარღანიამ გაბედული ნახტომით შესძლო კარის უვნებელყოფა. რამდენიმე წუთის შემდეგ საინტერესო მომენტი გათამაშდა თანაკლუბელთა კაპიტნებს შორის – ღოღობერიძემ ისარგებლა იმით, რომ მეკარე ლემეშკომ კარი დატოვა და მოთამაშეთა ჯგუფს ზევიდან ბურთი კარში გაგზავნა. კიეველთა კაპიტანი ლერმანი დროზე გაერკვა შექმნილ სიტუაციაში, მეკარის მაგივრად ჩადგა და ზედ კარის ხაზიდან თავით მოიგერია ბურთი.

სტუმრების იერიშები პირველად აგებული იყო მათი ცენტრალური თავდამსხმელის ზაზროევის გაყვანაზე გადამწყვეტი დარტყმისათვის, მაგრამ რუსაძე ფხიზლად დარაჯობდა, მეტოქეს არ აძლევდა საშუალებას უშუალოდ შეეტია კარისათვის. ზაზროევმა კარგა ხანს ეძება გზა მარღანიასკენ, მაგრამ როცა ვერას გახდა, მოედნის სიღრმეში დაიხია და მის ზონაში მორიგეობით შემოდიოდნენ შუამარბები ვინკოვატოვი და კომანი. ვერც ამ ხერხმა გაჭრა – თბილისის “დინამოს” მცველებმა საიმედოდ დაკეტეს კარისკენ მისასვლელები.

თბილისელთა იერიშები უფრო ხანგრძლივი, მოფიქრებული იყო და რამდენიმე ვარიანტის სახით ხორციელდებოდა. მარჯვენა ფრთაზე მეტად სწრაფი კომბინაციებით მოწინააღმდეგეს გამუდმებით “აწუხებდნენ” კოტრიკაძე და კ. გაგნიძე, მარცხენა ფლანგზე რამდენიმე მწვავე შტურმი განახორციელა ჭკუასელმა. “გენერალურ იერიშს” მაინც მარცხენა შუამარბი ღოღობერიძე აწარმოებდა.

ორივე გუნდის თავდამსხმელებმა რამდენჯერმე “მოსინჯეს” მეკარეები შორიდან, მაგრამ დარტყმები ან არაზუსტი იყო ან არასაკმაო სიძლიერის.

30–ე წუთზე ღოღობერიძემ შესანიშნავი დრიბლინგით ზედიზედ უკან ჩამოიტოვა კომანი, მიხაილინი, იუსტი და ბურთი კალოევს გადააწოდა. კალოევმა გადაინაცვლა ფრთაზე, ხაზთან ჩავიდა და უკან მიაწოდა ჭკუასელს. ზუსტი, ძლიერი დარტყმა ლემეშკომ ვერ მოიგერია და იძულებული იყო ბურთი ბადიდან გამოეტანა – 1:0.

8 წუთის შემდეგ სტუმართა კარში დაინიშნა საჯარიმო 18 მეტრიდან. ღოღობერიძემ კარგა ხანს ათვალიერა პარტნიორები და როცა ვერავინ ვერ ნახა თავისუფალი, კარში დაარტყა. კიეველთა მეკარემ სულ მცირედ დააგვიანა და მის კარში მეორე ბურთი გავიდა. ცოტა ხანში ღოღობერიძეს ჰქონდა ბურთის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ მის მიერ ნელა დარტყმული 11–მეტრიანი საჯარიმო ლემეშკომ სხარტი ნახტომით მოიგერია.

მეორე ტაიმში სტუმრებმა შესამჩნევად გამოაკეთეს თამაში. ისინი კარგა ხანს დაჟინებით უტევდნენ თბილისელთა კარს, მაგრამ მასპინძელთა დაცვამ კარგად შეასრულა თავისი ძირითადი ამოცანა – მოწინააღმდეგეს არ მისცა კარში დარტყმის საშუალება. კვლავ თავი გამოიჩინა მარჯვენა მცველმა ელოშვილმა.

შემდგომში კიეველთა იერიშები თანდათან შენელდა და თბილისელებმა კვლავ გადაინაცვლეს მათ ნახევარზე. 26–ე წუთზე კომბინაცია კოტრიკაძე–კალოევი–კ. გაგნიძე დამთავრდა ამ უკანასკნელის მიერ დაახლოებით 20 მეტრიდან კარში ძლიერი დარტყმით. ლემეშკო ოდნავ წინ იყო გამოსული კარიდან და ვერ მისწვდა მაღალ ბურთს. ანგარიში გახდა 3:0.

თამაშის ბოლო წუთებში კიეველები უკვე შეურიგდნენ დამარცხებას, ხოლო თბილისელებს ეს ანგარიში სავსებით აკმაყოფილებდა.

თბილისის დინამოელებმა გათამაშების ცხრილში მე–11 გამარჯვება ჩაიწერეს.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 19 აგვისტო, 1953 წ.